„გურიას“ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას!

ვულოცავთ ლანჩხუთელ ფეხბურთელებს დიდ წარმატებას!

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 ნოემბერი, შაბათი, 1989 წ.
№ 212 (10181) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშური სალმით

ზომიერევონ თბილისის დინამოელებმა და, თუ დღეს 40 წელს მიახლოებული მუშაკაცი გულგრილი არ ვარ ამ საყოველთაო თამაშის მიმართ და თვით მწვანე მინდორზეც ხშირად მახილავთ ჩვენი ქალაქის „იბერიაში“, რომელიც ქალაქის პირველობაზე პირველ ჯგუფში გამოდის, ამაში უწინარესად „ბრალი“ ჩემს საყვარელ „გურიას“ მიუძღვის. ეს სულაც არ უნდა იყოს საძრახისი. წარმოშობით იქაური, კერძოდ კი შუხუთელი გახლავართ, სადაც ხშირად ჩავდივარ შშობლებისა და ნათესავების სანახავად. აბა, რა გული გამიძლებს, „გურიის“ სტადიონს არ მივაშურო, როცა იქ ჩემი საყვარელი გუნდი თამაშობს. ეგ არის, ბოლო ხანს სულ უფრო ნაკლებად მრჩება დრო მათს შეხვედრებზე დასასწრებად. წელს, მაგალითად, სამადსამი თამაში ვნახე ლანჩხუთში, სამაგიეროდ, არც ერთი რეპორტაჟი არ გამომიტოვებია. რაც შეეხება გუშინწინდელ ღამეს, იგი ხომ თითოეული ქართველის მეხსიერებაში კარგა ხანს არ წაიშლება, რადგან ჩვენი ხალხის ამ ძნელბედობის ჟამს მან უდიდესი სიხარული განგვაცდევინა...

მთელი გულით გილოცავ, „ჩემო ტკბილო „გურია“, ამ წარმატებას და მჯერა, რომ დიდი წინააღმდეგობისა და სირთულეების მიუხედავად, რაც გაისად უმაღლესი ლიგის შეხვედრებში გელის, ღირსეულად გაუმკლავდები შენზე ძლიერ მეტოქეებსაც კი და გაიმარჯვებ. ამის საწინდარია წლევანდელი ყოვლად უკომპრომისო ორთაბრძოლები, რომლებიც თავს გადახდა და გაიმარჯვე ჩვენდა სასიხარულოდ. ამბობენ, ასეთ საზეიმო დღეებში მუშაკაცის მილოცვას საქართველოს ველ-მინდვრების სურნელიც ახლავსო. დაე ასე იყოს. ვიბრძოლოთ (მამულისა და სამშობლოს სიყვარულით.

რომან ორაგველიძე, გაერთიანება „ჩარხმშენის“ ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადირი, შრომის დიდების II და III ხარისხის ორდენების კავალერი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი.

დაეჭვება იმაში, რომ ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელთა კოლექტივი წლევანდელ გათამაშებაში უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ ბაგზურს მოიპოვებდა, არ შეიძლებოდა. არ შეიძლებოდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეხაა გამოცდილი, ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში უკვე გამოდიოდა საბჭოთა ფეხბურთის უმაღლეს დონეზე. გარდა ამისა, მწვრთნელთა მთელმა კოლექტივმა, მთავარმა მწვრთნელმა მ. ფომენკომ თ. ჩხაიძის, გ. იმნაძისა და გ. დუნდუას ხელშეწყობით შეძლო ერთი სულისკვეთებით გამსჭვალულ მოთამაშეთა მობილიზება უმაღლესი მიზნის განსახორციელებლად, თვით უშუალოდ ფეხბურთელებიც იმთავითვე განწყობილი იყვნენ უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად. „გურიის“ ფეხბურთელებს ყოველმხრივ მხარი აუბა რაიონის მთელმა მოსახლეობამ, მშრომელებმა, რესპუბლიკის სპორტის მოყვარულებმა, ლანჩხუთის რაიონის ხელმძღვანელობა კი ყოველნაირად ხელს უმართავდა თავის გუნდს საპატიო მიზნის მისაღწევად.

და აი, მოსახდენი მოხდა. „გურია“ მთელი სეზონის მანძილზე ლიგის ლიდერთა შორის იმყოფებოდა, მისი ხაბოლოო წარმატება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ჭარბი ემოციების ნაადრევი გამოვლინება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნდა, ზედმეტ თვითდაჯერებასა და სიმშვიდეხაც შესაძლოა უარყოფითი როლი ეთამაშა ჩვენი გუნდის ამ დიდ წარმატებაში. ახლა კი, როცა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა უმაღლეს ლიგაში გადასვლის ხაბოლოო გარანტია გაიანაღდეს, ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ, ყველას შეგვიძლია ღირსეულად ვიამაყოთ „გურიის“ დიდი მიღწევით, მივულოცოთ რაიონის მშრომელებს გამარჯვება და ვუსურვოთ ახალი წარმატებები, ახალი, უაღრესად რთული პრობლემების წარმატებით გადაჭრა.

უმაღლესი ლიგისკენ მიმავალი გზა იოლი არ იყო და ეს ყველამ კარგად იცის. ბრძოლა ისეთ მეტოქეებთან, როგორიცაა ცსკა, ალ-

იხ. მე.3 გვ.

სურათებზე: ზევით — ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელმაც I ლიგის წლევანდელ გათამაშებაში უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა; ქვევით — „გურიისა“ და „ფაბთაქორის“ შეხვედრის მომენტი, ლანჩხუთელები უტევენ მეტოქის კარს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.
„ლელოს“ სპეც. კორ.

ნინო სალუქვაძე ულოცავს...

საყოველთაოდ ცნობილია გურიის მკვიდრთა სიყვარული ბარაღის მიმართ, მაგრამ ბოლო ხანს მასზე, ეტყობა, ფეხბურთის სიყვარული ძლავრობს. და მაინც, ეს გარემოება არაფრით არ უშლის ხელს ნინო სალუქვაძეს, ერთგული გულშემატკივრები ჰყავდეს საფეხბურთო გუნდის, „გურიის“ ქომაგთა შორის და თვითონაც მათს რიგებში იყოს. გუშინ ჩვენმა სახელოვანმა მსროლელმა ოლიმპიადის, მსოფლიოსა და ევროპის ვინ იცის, რამდენგზის ჩემპიონმა, გადმოგვცა, რომ ულოცავს ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელებს წარმატებას და სხვებთან ერთად იზიარებს იმ დიდ სიხარულს, რომელიც გუნდმა განაცდევინა თავის გულშემატკივრებს. გაზეთი „ლელო“ ამ შემთხვევაში სიამოვნებით კისრულობს „ამბის მომტანის“ როლს.

„გურია“! „გურია“! „გურია“!

ძმებო, გურულებო! გილოცავთ წარმატებას!

ქართულ ფეხბურთს ვულოცავ სსრკ ჩემპიონატში მეორე ფრონტის გახსნას, რაც კიდევ უფრო დაგვიახლოებს საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარებას და მსოფლიო ასპარეზზე ქართველურად ჭასვლას.

ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან, გურულებო; „გურია“ ერთადერთი გუნდია ქართული ფეხბურთის ისტორიაში, ვისაც სსრკ-ს უმაღლესი ლიგის ჩემპიონატებში ეროვნული სახელის ტარების ბედნიერება აქვს. შესანიშნავი იქნებოდა აღგედგინათ ის ტრადიცია, თქვენს მაისურებს ქართული „გურია“ რომ ამშვენებდა.

დღეს ეს აუცილებელია!

კონოფალმ „გურია! ჭურია! ბურიის“! გადაძღები ჯგუფის სახელით, რეფერი ალეშანდრე ულენტი.

უეფა-ს თასზე

ფეხბურთში უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალური ეტაპის წილისყრამ, რომელიც გუშინ ციურიხში გაიმართა, კიევის „დინამოს“ მეტოქედ დაასახელა იტალიის „ფიორენტინა“. პირველ შეხვედრას კიეველები გამართავენ სტუმრად, 22 ნოემბერს, საპასუხო მატჩს — 6 დეკემბერს. სხვა წყვილები: „იუვენტუსი“ (იტალია) — „კარლ-მარქს-შტადტი“ (გდრ), „ნაპოლი“ (იტალია) — „ვერდერი“ (გფრ), „ჰამბურგი“ (გფრ) — „პორტო“ (პორტუგალია), „რაპიდი“ (ავსტრია) — „ლეიჟი“ (ბელგია), „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია)— „კიოლნი“ (გფრ), „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — „ოსერი“ (საფრანგეთი), „ანტვერპენი“ (ბელგია)— „შტუტგარტი“ (გფრ).

მერვედფინალში შეხვდებიან

სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 1989-90 წლების გათამაშებაში წლეულსვე უნდა ჩატარდეს მერვედფინალის 2-2 მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

8 ნოემბერს კიევის დინამოელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ თბილისის თანაკლუბელთა გუნდს; ამავე დღეს ითამაშებენ „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი), „დინამო“ (მოსკოვი) — „არარატი“ (ერევანი). ამ გუნდების საპასუხო შეხვედრათა თარიღები დადგინდება მოგვიანებით.

შეიცვალა მერვედფინალის სხვა მონაწილეთა შეხვედრების კალენდარიც. ოდესის „ჩერნომორეცი“ და მოსკოვის „ტორპედო“ ერთმანეთს შეხვდებიან 6 და 9 ნოემბერს, დონეცკის „შახტიორი“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — 9 და 16 ნოემბერს, „როტორი“ (ვოლგოგრადი) და ცსკა — 11 და 16 ნოემბერს, ტაშკენტის „ფახთაქორი“ და ხარკოვის „მეტალისტი“ — 12 და 16 ნოემბერს, ვილნიუსის „უალგირისი“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 12 და 17 ნოემბერს.

„ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘ“ ᲒᲐᲛᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ!

ᲯᲝᲜᲗᲘ კალენს, კორპორაცია „უილიპ მორისის“ ხელმძღვანელს, შეხვედრაზე ჩოგბურთში ქალთა ტურნირების ჩასატარებლად ფული შეეტანა. „მაშინ ფულის გუდა ვიყავი, — იხსენებდა შემდგომ ჯოზეფი,— ბოდი, ავდექი და „ოკეი“-მეთქი, ვუპასუხე“.

უნდა ითქვას, რომ იმჟამად ქალთა ჩოგბურთთან ხაქმის დაჭერა ცოტა ხარისკო იყო. მაგალითისთვის გავიხსენოთ, რომ სწორედ 1970 წელს იტალიის პირველობაში ვალთა შორის შეჯიბრების პირველ წრეში წაგებული მონაწილე 2000 დოლარს იღებდა, ქალთა შეჯიბრების გამარჯვებული — 800.

ქალთა ამ ტურნირს ხახელწოდება ფირმა „უილიპ მორისის“ ახალი ხიგარეტების „ვირჯინია სლიმზის“ მიხედვით მისცეს. შეჯიბრების ჩატარების მიზანი თავიდანვე ნათელი იყო: ეკონომიკურად რენტაბელი გაუხადა ჩოგბურთელი ქალის კარიერა და ამით ხელი შეეწყო ნიჭიერი ჩოგბურთელი ქალების გამოვლინებისთვის, რომელთა რიცხვი მთელ მსოფლიოში დღითი დღე მატულობდა. ხაქმეს კარგი პირი უჩანდა. 1970 წლის ხელტემბერში პიუსტონში ჩატარდა პირველი ტურნირი, რომლის ხარიზო ფონდმა 7,5 ათასი დოლარი შეადგინა, წელს კი „ვირჯინია სლიმზის“ ტურნირის ორბიტაზე 17 მილიონ დოლარზე მეტი ხარიზო თანხა და 11-ოვიანი კალენდარია, მონაწილეებმა 17 ქვეყანა უნდა მოიაროს. ათას ზუთასზე მეტი ხპორტსმენი ქალი ეჯიბრება ერთმანეთს „ვირჯინია სლიმზის“ ეგიდით, ხოლო ტურნირები ერთმანეთთან ქულათა ანგარიშის ხიხტემით არის დაკავშირებული. მონაწილეები აგროვებენ ქულებს და ფინალისტკენ მიიწევენ, რომელიც ჩატარდება ნიუ-იორკში ნოემბრის შუა რიცხვებში. ამ ტურნირში გამოვა 16 ჩოგბურთელი — 8 წყვილი.

ახლა კი, მას შემდეგ, რაც მცირე ინფორმაცია მოგაწოდეთ ქალთა უველაზე წარმომადგენლობითი ტურნირის შესახებ, რომლის შედეგების მიხედვითაც ეწინდება მსოფლიოს ჩემპიონი, შეგვიძლია ცოტა ხული მოვითქვათ და ხაქმეზე გადავიდეთ.

მაშ ახე, ოქტომბერში „ვირჯინია სლიმზის“ ტურნირი მოსკოვში ჩატარდა. ტურნირის მონაწილეთა უმრავლეხობა პირველად იყო ჩვენს ქვეყანაში. ხპონსორებმა ხაპრიზო ფონდისთვის 100 ათას დოლარს მოუყარეს თავი. ტურნირში ჩვენი რეხპუბლიკის ერთადერთი წარმომადგენელი, ლეილა მეხხი მონაწილეობდა. თუმცა „ოლიმპიისკის“ კორტებზე კიდევ ერთი ქართველი — საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარე გივი თალაკვაძე იყო. ეი, უკვე „ხაქმეზეც“ გადავედით.

● **ბატონო გივი, კორტებზე რას აკეთებდით?**

— ბუნებრივია, მონაწილე. ვერ ვიქნებოდი — ტურნირი ხომ მხოლოდ ქალებისაა. მე გადავეცი პრიზი, რომელსაც „მოწვევის პრიზი“ დავარქვით, ეს გახლდათ ქართველ ოსტატთა მიერ შესრულებული დიდი, ძალზე ლამაზი და ნატიფი ლარნაკი.

● **რატომღაც არახლროს გამიგია თუ ახეთი პრიზი არსებობდა...**

— არა, ასეთი პრიზი არც არსებობდა, ჩვენ თვითონ მოვიგონეთ. მოგეხსენებათ, მოსკოვში ძალზე წარმომადგენლობითი შემადგენლობა იყო, მისი ნებისმიერი მონაწილე მარგალიტია ჩვენი კორტებისთვის. ის, ვინც ჩვენს პრიზს მიიღებდა, შესაბამისად საქართველოში მოწვევას და საჩვენებელი შეხვედრების სერიის გამართვის შესაძლებლობას ღებულობდა. რაღა თქმა უნდა, ძალზე გვინდოდა უფრო მაღალი რანგის ჩოგბურთელი ჩაგვიგდო ხელთ. თვალი სახელგანთქმულ ამერიკელ პემ შრაივერს დავადგით. 1982 წლიდან მოყოლებული მსოფლიო რანგების ცხრილში იგი მეექვსე ადგილზე დაბლა არ დაშვებულა, 1988 წელს კი მეხუთე ადგილი დაიკავა. უნდა გითხრათ, რომ გულისხეთქვა ბევრი შეგვხვედა, ავდრის გამო ავიარეისი გადაიდო და შრაივერი ტოკიოდან მოსკოვში მოგვიანებით ჩამოფრინდა. სხვათა შორის, იქ ამერიკელმა ხპორტსმენმა ქალებმა ფედერაციის თასი და 80 000 დოლარი მოიპოვეს.

● **იმედი გქონდათ, რომ პემი მიიღებდა მოწვევას?**

— ჩვენ შევხვდით მას, ველაპარაკეთ. ურთიერთგაგებასაც მივაღწიეთ. პემმა აღგვითქვა, მარტო მე კი არ ჩამოვალ გაისად, ზაფხულშიო (ვადა მოგვიანებით დაზუსტდება), არამედ რამდენიმე ცნობილ ჩოგბურთელ ქალსაც ჩამოვიყვანო.

● **თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით მოგვიყვეთ პემ შრაივერის შესახებ.**

— ეჩქარობ ახალი ამბავი გაუწყოთ: სავსებით შესაძლებელია, რომ მალე ჩვენ დავიწყებთ ლეილას სახელის მოხსენიებას... პემ შრაივერის სახელთან ერთად!

საქმე ისაა, რომ შრაივერ-ნავრატილოვას წყვილი, რომელსაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია აგერ უკვე რვა წელი ზედიზედ წლის საუკეთესო „გუნდად“ ასახელებს, — დაიშალა. ერთის მხრივ, ეს გულდასაწყვეტია, წყვილი ხომ მართლაც ბრწყინვალე იყო — მაკი ნამსახურობის ნუსხაში არის 19 გამარჯვება „დიდი შუზარადის“ ტურნირში, ექვსი — ავსტრალიაში, ხუთი — უიმბლდონის ტურნირში და ოთხ-ოთხი გამარჯვება საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ მეორის მხრივ... ჩვენ პემს შევთავაზეთ ჩვენი ლეილა მეხხი მოესინჯა წყვილში და იგი ძალზე დაინტერესდა ამ წინადადებით. ვნახოთ, რა გამოვა აქედან. ლეილა მეხხი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სახელგანთქმული ქართველი ხპორტსმენია, — ძალზე ახალგაზრდაა. იგი 1968 წლის 5 იანვარსაა დაბადებული. თამაშობს მარჯვენა ხელით. მარცხნიდან კი ორი ხელით ურტყავს. შარშან სინგაპურში გამართული ტურნირის ფინალისტი, იაპონიის ღია ჩემპიონატისა და ნიშვილის ტურნირის ნახევარფინალისტი იყო. აშშ-ს ღია ჩემპიონატში მესამე წრეში პემ შრაივერს მოუგო. მას თეიმურაზ კაკულია და ოლგა მოროზოვა ავარჯიშებენ. კორტზე წარმატებას იგი უპირატესად კარგი ტაქტიკის წყალობით აღწევს. მისი უმაღლესი რეიტინგი 1988 წლის მაისში 28 იყო.

● **მიგაჩნიათ, რომ მოსკოვში ლეილა წარმატებით გამოვიდა?**

— ლეილამ მოუგო ფრანგ პასკალ პარადს (6:4, 6:4), შემდეგ ნატალია მედვედევასთან ერთად დაძაბულ ორსაათიან ბრძოლაში დაამარცხა ამერიკელი კატრინ ადამსისა და კეტი რინალდის წყვილი (6:3, 1:6, 7:5). მერე ლეილა შეხვდა ნატაშა მედვედევას, რომელსაც სულ ახლახანს სოჭში გამართულ ჩვენს ჩემპიონატში მოუგო. მაგრამ ლეილა ე. წ. „ნელ კორტზე“ გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, „ოლიმპიისკში“ კი ხელოვნური საფარი პირდაპირ რკინაბეტონზე იყო გადაფარებული. ერთი სიტყვით, ასეთი ტიპის კორტი უფრო ათლეტური სტილის მოთამაშეებისთვის არის მისაღები, ხოლო შედეგედევა სწორედ ასეთი გახლავთ. პირველი სეტი მედვედევას მიჰყავდა — 3:1, მაგრამ ლეილამ ლამის შეუძლებელი შეძლო, წინ გავიდა — 4:3, მაგრამ შედვედევამ მოიგო პირველი სეტი — 6:4, 19 წუთში კი მეორე —6:1, ლეილა გამოეთიშა შემდგომ ბრძოლას. და მაინც ლეილას გამოსვლას წარუმატებელი არ ეთქმის. 32 მონაწილიდან იგი პირველი რვა ჩოგბურთელის რიცხვში მოხვდა, ეს კი არც ისე ცუდია.

● **მეხხი, გაბრიჩიძე, კაკარავა... ჩვენი ძლიერი ჩოგბურთელების ხია ამჟამად არც თუ ძალიან გრძელია. რაშია საქმე? ბომ არ მიგაჩნიათ, რომ საქართველოში ჩოგბურთი ელიტარულ ხპორტს წარმოადგენს?**

— არავითარ შემთხვევაში! ჩოგბურთი ჩვენში უველასთვის ხელმისაწვდომია, ბევრი ხხვა რეხპუბლიკისაგან განხხვავებით, ძალზე კარგად „იკიდებს ფეხს“ და ლამის ეროვნულ გატაცებად იქცეს. ახლა ძალიან პერსპექტიული თაობა იზრდება — 74-78 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭები, რომლებიც უთუოდ გააგრძელებენ ამ ხიას. მაგრამ ბაზები გვაქვს მცირე. ახლახანს თბილისში, ქიროვის პარკში ოთხი ახალი კორტი ჩადგა მწყობრში, არის კორტები იპოდრომზე, ხაბავშვო ქალაქ „მზიურში“. ახლახანს სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითფინანსებაზე გადასვლის საკითხი დააყენა. დროთა განმავლობაში ამ საკითხს ჩვენც დავაყენებთ. ის ვალუტა, რომელიც თუნდაც მარტო ლეილა მეხხს მოაქვს, დღეისათვის — 94.219 დოლარი დიდ ხამხახურს გაუწევდა ქართული ჩოგბურთის განვითარებას. ამჟამად კი ჩვენ არ ვიცით ვინ და როგორ ინაწილებს ამ ფულს, ცნობილია მხოლოდ ის, რომ თვით ლეილა წლების განმავლობაში ძალზე მცირე ნაწილს ღებულობდა. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი უეჭველად განამტკიცებს ჩვენს პოზიციებს, ეს ჩვენთვის ახალ დონეზე მუშაობის მძლავრი იმპულსი იქნება. მივაღწიეთ იმას, რომ ქალაქის მეხვეურებმა დიდ დიღომში ჩოგბურთის ცენტრის გახსნის ნება დაგვრთეს. მართალია, გადაწყვეტილება ამგვარი ცენტრის შესახებ ჯერ კიდევ 1984-85 წწ. იყო მიღებული, მაგრამ მაშინ იგი ქალაქზევე დარჩა. ახლა კი, იმედია, უველაფერი მოგვარდება. ცენტრისთვის გამოყოფილია 6 ჰექტარი მიწა, აქ დაგეგმილია 16 ღია და 4 დახურული კორტის მოწყობა, აგრეთვე სარეაბილიტაციო ცენტრის, პატარა სასტუმროსა და დარბაზის აგება. ამ დარბაზში ჩატარდება პრესკონფერენციები, მოეწყობა თემატური კინო-და ვიდეო ფილმების ჩვენება და ა. შ. ერთი სიტყვით, ცენტრი საერთაშორისო დონისა უნდა იყოს, რათა აქ შეიძლებოდეს ნებისმიერი დიდი შეჯიბრების ჩატარება.

ჩოგბურთში უველაფერს ბაზები და ხარისხიანი ინვენტარი წყვეტს. იქნება ბაზები, იქნებიან „ვარსკვლავებიც“. დარწმუნებული ვარ, რომ პემ შრაივერისა და მასთან ერთად კიდევ რამდენიმე ცნობილი ჩოგბურთელი ქალის თბილისში ჩამოსვლა ძლავრი იმპულსი იქნება. და იმისთვის, რომ მერე საგონებელში არ ჩავვარდეთ, ირიქა, უმრავი მსურველი გამოჩნდა და რა მოვუხერხოთო, თადარიგი წინასწარვე უნდა დავიჭიროთ, ახლავე, დღესვე.

● **დღეს ჩვენ უმთავრესად ქალთა ჩოგბურთზე ვილაპარაკეთ, მაგრამ მოდით, ვლადიმერ გაბრიჩიძესთვის გამონაკლისი გავაკეთოთ. რატომ არ მიიღო მან მონაწილეობა ქვეყნის უკანასკნელ ჩემპიონატში?**

— ჩვენ ჩოგბურთელს ტურნე ჰქონდა პოლონეთში, ჩაატარა შეხვედრების სერია, პირველი ადგილი დაიკავა ტურნირში. მაგრამ სოჭში მამდინარე ჩემპიონატის გახსნაზე სულ რამდენიმე საათით დაიგვიანა — ის-ის იყო ჩამოვიდა პოლონეთიდან და მაინც ორგანიზატორებმა, კერძოდ, სსრ კავშირის სპორტსახკომმა ნება არ დართო მონაწილეობა მიეღო ჩემპიონატში. რა თქმა უნდა, კარგია, როცა უველაფერი „წესისა და რიგის“ მიხედვით მიმდინარეობს, მაგრამ გამონაკლისიც ხომ სარსქმობს. ეფიქრობ, რომ იმ მიზეზების გათვალისწინებით, რომელთა გამოც დაიგვიანა სსრკ ნაკრების წევრმა გაბრიჩიძემ, ამ გამონაკლისის დაშვება შეიძლებოდა. მინ უმეტეს, რომ ბევრი სპორტსმენი ყოვლად უმიზეზოდ საერთოდ არ გამოცხადებულა ჩემპიონატზე, ისინი კი, ვინც ჩამოვიდა, სამინელ პირობებში აღმოჩნდნენ — საერთო აღიარებით ჩემპიონატის ორგანიზაცია უაღრესად ცუდი იყო. ამიტომ ნაკლებ გასაგებია ის ბიუროკრატიული მიდგომა, რომელიც გაბრიჩიძის მიმართ გამოიჩინეს. ძალზე დასანანია! გაბრიჩიძე შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო, და ჩვენ სავსებით სამართლიანად ვიმედოვნებდით, რომ შეგვეძლო არა მხოლოდ ქალთა შორის გვყოლოდა ჩვენს ნის ჩემპიონი, არამედ ვაჟთა შორისაც.

პეპი ბოგორიშვილი.



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲔᲪᲕᲚᲘᲚᲐᲜ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). აქ გრძელდება საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა პირველობები. გოგონებში 11 ტურის შემდეგ 10,5 ქულით კვლავ ლიდერობს თბილისელი ნინო ხურციძე. 9,5 ქულა აქვს ასევე თბილისელ ინგა ხურცილავას, 9 — ბათუმელ დიანა დარჩიას.

არც ჰაბუკთა შეჯიბრებაში შეცვლილა ლიდერი, სადაც 11 შესაძლებლიდან 8,5 ქულით კვლავ წინაა თბილისელი მიხეილ კეკელიძე. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ქუთაისელი შოთა კუპუხიძე.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ ᲤᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲚᲔᲒᲗᲐᲜ — ᲫᲚᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲝᲓ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ მოჭადრაკეთა ნაკრებ კვლავ წინ მიიწევს — მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში, რომელიც ზვეიცარიის ქალაქ ლიუცერნში მიმდინარეობს. მან V ტურშიც გაიმარჯვა — ფარ-ხმალი დააყრევინა ინგლისის ძალიან ძლიერ გუნდს — 3:1 (კარპოვი — შორტი 1:0, ბელიავსკი — ნანი 1:0, ელვესტი — ჩანდლერი 0:1, ივანჩუკი — ადამსი 1:0) და 20 შესაძლებლიდან 15,5 ქულით დიდი უპირატესობით ლიდერობს ჩემპიონატს. 11,5-11,5 ქულა აქვთ უნგრელებსა და იუგოსლავიელებს, 11 — ინგლისელებს, 10,5 — ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს. შემდეგ მოდიან: კუბა — 10, შვეიცარია, ჰოლანდია — 8-8, ჩინეთი — 7,5, აფრიკა — 6,5.

V ტურში ჰოლანდიისა და აშშ-ის გუნდებმა ერთნაირი ანგარიშით — 2,5:1,5 დაამარცხეს შესაბამისად შვეიცარიისა და უნგრეთის ნაკრებები. იუგოსლავიელებმა სძლიეს ჩინელებს — 3,5:0,5, კუბის გუნდმა — აფრიკის ნაკრებს 3:1.



ᲒᲘᲜᲬᲔᲕᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

ᲕᲐᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘᲗᲐ დიდი ინტერესი გამოიწვია თეატრალურ-სპორტულმა საღამომ, რომელიც რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის ეკონომიკური საფუძვლის გასამტკიცებლად ჩატარდა თბილისის სპორტის სასახლეში. მონაწილეობდნენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები, მოეწყო ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონთა საჩვენებელი გამოხვლები სპორტულ ტანვარჯიშში, აკრობატიკასა და ბატუტზე ხტომაში, აგრეთვე აღმოსავლურ ორთაბრძოლებში, ათლეტიზმში. გაიმართა ერთდროული საჭადრაკო სეანსი.

დღეს განმეორებით ჩატარდება ეს საღამო. (საჭადრაკო სეანსი დაიწყება საღამოს 7 საათზე).



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲒᲑᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲐᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲠᲝᲛᲒᲝᲠᲪ საქართველოს რაგბის კავშირის სამდივნოდან გვაცნობეს, 5-12 ნოემბრისათვის ვარკეთილის სარაგბო სტადიონზე დანიშნული საქართველოს 22-ე ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ექვსი გუნდის მონაწილეობით უსახსრობის გამო გადაიდო და მოგვიანებით გაიმართება.

18-19 ნოემბრისათვის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დანიშნული „საშემოდგომო შვიდეული“ ჩატარდება განრიგის შესაბამისად.

„ᲑᲠᲘᲯᲘᲡ“ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘᲡ სასტუმრო „ბრიჯალტიისკის“ დარბაზში გაიმართა სპორტული ბრიჯის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა გარდა გამოდიოდნენ საფრანგეთის, გფრ-ის, აშშ-ს, შვეიცის, ესპანეთის, ბულგარეთის, პოლონეთის და ფინეთის წყვილები. შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო ბრიჯის ევროპული ლიგის არბიტრი ფრანსუა ვილარი (საფრანგეთი).

ტურნირის მონაწილენი პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს ე. წ. წყვილთა კონგრესში, რომელიც სამი სესიისაგან (სამი ტურისგან) შედგებოდა. ამ სახეობაში პირველი ადგილი პოლონელებმა — ვიცეკმა და ოპენჰეიმმა დაისაკუთრეს. მეორე და მესამე ადგილები ბულგარელებს ხვდათ.

ცუდად არ გამოსულან საბჭოთა ბრიჯისტებიც. კიეველებს კარლიკოვსა და ბელეცკის შეეთხე ადგილი ერგოთ, მოსკოველ კარეტნიკოვებს კი მეხუთე. გუნდური გამარჯვება პოლონეთის „კუშმა“ მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გურია“ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას!

„გურიის“ მწვრთნელი მიხეილ ფომენკო შესვენების დროს დავალებას აძლევს თავის ფეხბურთელებს.

(დასასრული)

მა-ათის „კაირატი“, ბაქოს „ნეფთჩი“; ტაშკენტის „ფახთაქორი“, სტავროპოლის „დინამო“, ვორონეჟის „ფაკელი“, კიშინიოვის „ნისტრუ“ და სხვანი, ძალზე ძნელია და მით უფრო საპატიო და სასახელოა, რომ „გურიამ“ ამ სიძნელეებს წარმატებით გაართვა თავი.

წლევანდელი სეზონი ქართული ფეხბურთისთვის რთული პრობლემებით აღსავსე და ძნელი იყო. ამ პრობლემათა შორის, რა თქმა უნდა, უპირველესი ისაა, რომ თბილისის „დინამო“ ვერა და ვერ დადგა ფეხზე, ვერ დაიბრუნა თავისი ადრინდელი სიძლიერე და სპორტული ფორმა, ამიტომაც უმაღლესი ლიგის საკავშირო ტურნირში მხოლოდ მეთერთმეტე ადგილი დაიკავა.

თბილისის „დინამო“ სეზონის მანძილზე უმაღლესი ლიგის დატოვების რეალური საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. ეს საშიშროება დრო და დრო ისეთ ფორმებს ღებულობდა, რომ სავანგებო ღონისძიებანი სჭირდებოდა საბჭოთა ფეხბურთის ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად და ის ამბავი, რომ გუნდმა შეძლო ამ ამოცანის შესრულება, სრულიადაც არ ხსნის მის წინაშე მდგარ ურთულეს პრობლემებს. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ დინამოელებს ჯერ კიდევ ბევრი რამ სჭირდებათ თავიანთი ნამდვილი პრესტიჟის აღსადგენად.

მაგრამ სწორედ ამ ფონზე კვლავ და კვლავ სასიხარულოა ლანჩხუთის „გურიის“ ესოდენ დიდი წარმატება. ორი გუნდი უმაღლეს საფეხბურთო ლიგაში — ეს ჩვენი სპორტის დიდი მიღწევაა. რა თქმა უნდა, „გურია“ ახალი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ სიძნელეები გუნდს არ დააშინებს, იგი ყველაფერს გააკეთებს თავისი ღირსების შესანარჩუნებლად.

საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა, ვეტერანი ფეხბურთელები, თბილისის „დინამო“, I და II ლიგების ფეხბურთელთა კოლექტივები ლანჩხუთის „გურიას“ ულოცავენ შესანიშნავ მიღწევას, კეთილ გზას უსურვებენ უმაღლესი ლიგის რთულ შეჯიბრებებში.

• • •

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 4:2 (2:1)

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 2 ნოემბერი.

„გურია“: აბუსერიძე, ტყებუჩავა, ოლეფირენკო, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, ჟორდანია (თევზაძე), ბარათაშვილი (კაციტაძე), კორღალიძე, ფრიდონაშვილი, გურული (უგრელიძე).

„ფახთაქორი“: იანოვსკი, კოვშოვი, რუზიმოვი (სელიმოვი), როტკოვიჩი, დენისოვი, პოხტენოვი, ბონდარენკო, პიატნიცკი, შეიჰმეტოვი, შკვირინი (მუხანოვი), კაბაევი (დურმანოვი).

მსაჯი ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი).

გააფრთხილეს უგრელიძე.

ამ დღეს მთელს ლანჩხუთში საზეიმო განწყობილება სუფევდა. „ფახთაქორთან“ გადამწყვეტ შეხვედრას „გურიისთვის“ უმაღლესი ლიგის სანუკვარი საგზური უნდა მოეტანა. მაგრამ ამ განწყობილებამ და საერთო ნერვიულობამ, ეტყობა, დასაწყისში უარყოფითად იმოქმედა ლანჩხუთელ ფეხბურთელებზე, მათ შებორკილად დაიწყეს თამაში, რამდენიმეჯერ გაუმართლებელი შეცდომა დაუშვეს, რის შედეგადაც საკუთარ კარში მიიღეს ბურთი: მე-4 წუთზე კაბაევმა მიაწოდა შეიჰმატოვს, მცველები და მეკარე წამით შეყოვნდნენ და ტაშკენტელმა ფეხბურთელმაც კარგად გამოიყენა შექმნილი სიტუაცია — 1:0.

ამ მომენტში „ფახთაქორის“ ფეხბურთელები თითქოს უფრო მობილიზებული ჩანდნენ, მაგრამ მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სულ მალე შეძლეს კონტრთამაშის შექმნა, მე-6 წუთზე ტყებუჩავას დარტყმა მოიგერია იანოვსკიმ, მაგრამ ბურთი გურულმა მიიღო და ზუსტად შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა — 1:1.

ამ საპასუხო გოლს ლანჩხუთელთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მერე კი, როცა მე-19 წუთზე დანელიას წამოწყებული კომბინაცია მეორე გატანილი გოლით დაამთავრა კორღალიძემ, ლანჩხუთელებმა დამაჯერებლად ხელთ აიღეს ინიციატივა და ტაიმის დამთავრებამდე რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან.

56-ე წუთზე მასპინძლებმა სტანდარტული კომბინაცია გაითამაშეს კუთხურიდან, კორღალიძის მიერ მოწოდებული ბურთი ფრიდონაშვილმა გურულს გადასცა და ამ უკანასკნელმაც ანგარიში 3:1-მდე აიყვანა, „გურია“ სულ უფრო და უფრო მწვავედ უტევდა, ერთ-ერთი ასეთი იერიშის დროს „ფახთაქორის“ მცველმა დენისოვმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

4:1 — ეს უკვე გამარჯვების სრული გარანტია გახლდათ, თუმცა, 72-ე წუთზე მცველის უხეში თამაშისთვის „გურიის“ კარში 11-მეტრიანი დაინიშნა, რომელიც ზუსტად შეასრულა მუხანოვმა და სხვაობა ანგარიშში ერთი ბურთით შემცირდა, მატჩის საბოლოო შედეგი ვეჭვს აღარ იწვევდა.

ლანჩხუთის „გურიამ“ ანგარიში 4:2 ბოლომდე შეინარჩუნა და ძნელი სეზონის მანძილზე გაწეულ მუშაობას საბოლოო წერტილი დაუსვა. მთავარ კონკურენტთან — ალმა-ათის „კაირატთან“ დარჩენილ შეხვედრას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, „გურია“ უმაღლესი ლიგის ბინადარია.

სტადიონის ტრიბუნებზე შეკრებილი მრავალრიცხოვანი მაყურებელი აღფრთოვანებით მიეგება თავისი გუნდის ამ დიდ წარმატებას.

ზაზა კახაძე,
ავთანდილ ღრმოცაძე.
(„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები).



ლანჩხუთელთა შეტევას ძლიერი დარტყმით ამთავრებს გ. გურული.

„გურიისა“ და „ფახთაქორის“ შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები. „ლელოს“ სპეც. კორ.

I ლიგა

2 ნოემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ბოლოსწინა ტურის შეხვედრები.

I ლიგის საკავშირო გათამაშების 43-ე ტურში ქუთაისის ტორპედოელებმა კიშინიოვში წააგეს „ნისტრუსთან“ — 1:2, ხოლო ბათუმის დინამოელები ვორონეჟში დამარცხდნენ „ფაკელთან“ 0:2.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „დინამო“ (სტავროპოლი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 2:1, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:1, ცსკა — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 8:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 3:1, „დაუგავა“ (რიგა) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:2, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:2, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 0:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	41	26	10	5	109-26	62
„გურია“	41	26	9	6	75-38	61
„კაირატი“	41	23	9	9	74-36	55
„დინ.“ სტ.	41	18	12	11	55-45	48
„ფაკელი“	41	18	11	12	50-35	47
„ნეფთჩი“	41	17	12	12	56-44	46
„ტავრია“	41	17	12	12	59-50	46
„მეტალ.“	41	16	12	13	52-39	44
„ფახთაქ.“	41	16	11	14	58-42	43
„კოტაიკი“	41	15	13	13	46-39	43
„ნისტრუ“	41	19	4	18	44-58	42
„ტორპ.“	41	18	5	18	69-71	41
„გეოლოგი“	41	16	9	16	49-49	41
„როსტს.“	41	11	14	16	36-46	36
„შინიკი“	41	11	14	16	44-61	36
„სპარტაკი“	41	12	11	18	44-60	35
„დინ.“ ბ.	41	11	13	17	39-59	35
„ყუბანი“	41	12	10	19	42-74	34
„კუზბასი“	41	11	12	18	28-41	34
ასკ რ.	41	10	12	19	51-73	32
„დაუგავა“	41	8	8	25	29-72	24
ასკ „კარპ.“	41	5	7	29	36-87	17

გადასასვლელი ტურნირები

გრძელდება მეორე ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალური ტურნირები I ლიგის საგზურებისთვის: „ლოკომოტივი“ (გორკი) — „ირტიში“ (ომსკი) 1:0, „ვოლინი“ (ლუცკი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:1, „ნეფტიანიკი“ (ფერღანა) — „ტრაქტორი“ (პავლოდარი) 1:0.

ფინალურ ჯგუფში, სადაც გამოდიან სოხუმის „დინამო“, ფერღანის „ნეფტიანიკი“ და პავლოდარის „ტრაქტორი“, ლიდერობს „ნეფტიანიკი“, რომელსაც განვლილ ორ ტურში ორი გამარჯვება აქვს მოპოვებული, სოხუმის „დინამოს“ 2 ქულა აქვს. დარჩენილ ორ შეხვედრას „ნეფტიანიკთან“ და „ტრაქტორთან“ სოხუმის დინამოელები თავიანთ მინდორზე ჩაატარებენ.

„პუმა“ — „დინამოს“

თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი საბჭოთა კავშირში იქნება ერთ-ერთი პირველი, რომელიც რეკლამას გაუწევს მსოფლიოში ცნობილი ფირმის — „პუმას“ პროდუქციას. ამ მიზნით გაერთიანება „საქინპექსის“ საშუალებით ფირმის წარმომადგენლებმა, „პუმას“ ექსპორტის ხელმძღვანელმა თომას გრიმლიჰმა (გფრ) და ფირმის წარმომადგენელმა შვეციაში ნილს ბერგლუნდმა ჩაის სახლში წარმოადგინეს თავიანთი ნახელავის გამოფენა, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა.

„საქინპექსის“ წარმომადგენლებმა „დინამოს“ ხელმძღვანელებთან ერთად განიხილეს კონტრაქტის პირობები, რომლის მიხედვით „პუმა“ ყოველწლიურად 40 ათასი დოლარის საქონელს მიაწვდის „დინამოს“.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა — „პუმასა“ და „დინამოს“ შორის შუამავალმა „საქინპექსმა“ უკვე შეისყიდა ფირმის ნაწარმის პირველი პარტია.

სურათზე: „პუმასა“ და „დინამოს“ წარმომადგენლები ჩაის სახლში.

შალვა გოქაძის ფოტოები.

მ. მიხაილოვი — „იფსვიჩში“

ინგლისის პროფესიულ საფეხბურთო კლუბ „იფსვიჩთან“ კონტრაქტს ხელი მოაწერა დონეცკის „შახტიორის“ მეკარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. მიხაილოვმა. 30 წლის მ. მიხაილოვმა „იფსვიჩთან“ 8 თვით გააფორმა კონტრაქტი.

ინგლისის ამ კლუბში უკვე გამოდის სხვა საბჭოთა ფეხბურთელი, კიევის „დინამოს“ ყოფილი მცველი ს. ბალტაჩა.

„ვეტერანის“ პრიზზე

დამთავრდა ვეტერან ფეხბურთელთა პირველი საკავშირო ტურნირი ჟურნალ „ვეტერანის“ პრიზზე.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კრასნოდარისა და ტაშკენტის ვეტერანთა გუნდები. კრასნოდარელებმა კარგად ითამაშეს სტუმრადაც, სადაც გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1, საკუთარ მინდორზეც (2:0) და დაეუფლნენ საპატიო პრიზს. კრასნოდარელი ფეხბურთელები რამდენიმე საერთაშორისო მატჩს გამართავენ უცხოეთის ვეტერანთა გუნდებთან.

დღეს და ხვალ

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში (კონსტიტუციის ქუჩაზე) ჩატარდება I ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი ტურის მატჩები. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები პენზის „სპარტაკს“ უმასპინძლებენ. დასაწყისი 17 საათზე.

გთავაზობთ გათამაშების ცხრილს 4 ნოემბრისთვის..

	თ.	მ.	წ.	ქ.
„სტროიტ.“ (ფრუნ.)	8	6	2	14
ტტტ (რიგა)	8	6	2	14
„ბანგა“ (კაუნასი)	8	5	3	13
სპი (თბილისი)	8	5	3	13
სტალი (დნეპ.)	8	5	3	13
„სპარტაკი“ (სიმ.)	8	5	3	13
„ურალმაში“ (სვერდ.)	8	5	3	13
„სპარტაკი“ (პენზა)	8	3	5	11
„შრ. რეზ.“ (გორკი)	8	3	5	11
„კრასნი აქსაი“ (როსტ)	8	2	6	10
„ვოლგა“ (ლენინგ.)	8	2	6	10
უსკ (ტარტუ)	8	1	7	9

„მერანი“ № 23

გამოვიდა გაზეთ „ლელოს“ საჰადრაკო დამატება „მერანის“ 23-ე ნომერი. ამ ნომრის წამყვანი თემაა პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები.

როგორც ჰადრაკის მოყვარულებმა იციან, მსოფლიოს ექსჩემპიონის რობერტ ფიშერის „საუკუნის“ რეიტინგი 17 წელიწადი ხელუხლებელი იყო, და აი, სულ ახლახან ელოს კოეფიციენტთა ცხრილში ცვლილება მოხდა — გარი კასპაროვმა მოხსნა ფიშერის რეკორდი. „მერანის“ მკითხველთა თხოვნით რედაქცია აცნობს ჰადრაკის მოყვარულთ პროფესორ ელოს კოეფიციენტთა სისტემის ისტორიას, რომელშიც ნათლადაა ნაჩვენები, თუ როგორ მოხსნა ახლანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა ძველი მიღწევა.

რუბრიკით „შედეგრი“ მკითხველი ამჯერად გაეცნობა ისიდორ გუსხბერგის შემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს.

ახლახან ოდესაში დამთავრებულ ვაჟთა 56-ე საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო თბილისელმა ოსტატმა გია გიორგაძემ. დამატების ამ ნომერში მკითხველი გაეცნობა მის მიერ ამ ტურნირში ნათამაშევ ორ პარტიას ქართველი ოსტატის შენიშვნებით.

საერთაშორისო დიდოსტატი საჰადრაკო კომპოზიციაში დავით გურგენიძე მკითხველს სთავაზობს ერთი საინტერესო იდეის ახლებურ გადაწყვეტას.

ვანის საჰადრაკო კლუბ „არგოს“ ორი წელია სათავეში უდგას ოსტატი გურამ მაჭავარიანი. სწორედ ამ კლუბის ცხოვრების ერთ ჩვეულებრივ დღეს გვაცნობს ჟურნალისტ ჯემალ კასრაძის ფოტორეპორტაჟი.

„მერანის“ ამ ნომერში მკითხველი სხვა საინტერესო მასალებსაც გაეცნობა.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

შეხვედრები ევროპის საკლუბო გათამაშებათა მეორე წრის საპასუხო მატჩებისთვის საბჭოთა გუნდებს მძიმე მდგომარეობა შეექმნათ. ზოგიერთი ჩვენი კლუბი (მოსკოვის „სპარტაკი“, მოსკოვის „ტორპედო“, ვილნიუსის „ჟალგირისი“, ლენინგრადის „ზენიტი“) ურთულესი პრობლემების წინაშე იმყოფებოდა და პირველ მატჩებში განცდილ წარუმატებლობათა შემდეგ, ალბათ, ასპარეზის დატოვებაც მოუხდებოდა. ეს ასეც მოხდა და ახლა 6 ჩვენი კლუბიდან ევროპის საკლუბო ტურნირებზე ბრძოლას გაგრძელებს მხოლოდ ორი: დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ ჩემპიონთა თასზე და კიევის „დინამო“ უეფა-ს თასზე.

„დნეპრმა“ ინსბრუკში ფრედ დაამთავრა შეხვედრა ავსტრიის ჩემპიონთან „ტიროლთან“ — 2:2 და ეს საკმარისი გამოდგა მეოთხედფინალში გასასვლელად. მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება გაისად გაზაფხულზე.

უეფა-ს თასზე კიევის დინამოელებმა საპასუხო მერვედფინალური მატჩი ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოსტრავაში ჩაატარეს „ბანიკთან“ და ფრედ დაამთავრეს იგი — 1:1. შინ ანგარიშით 3:0 მოგებული პირველი თამაში კიეველთათვის საერთო წარმატების საიმედო გარანტია გამოდგა.

ინტერესით მოველოდით მოსკოვის „სპარტაკის“ საპასუხო შეხვედრას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „კიოლნთან“. სპარტაკელებმა სულ ახლახან სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს და მოსალოდნელი იყო, რომ ისინი შეძლებდნენ პირველ წრეში მეტოქის მინდორზე ანგარიშით 1:3 წაგებული მატჩის ანაზღაურებას, თვით ეს ანგარიში 1:3 შეუძლებელს არაფერს წარმოადგენდა, საპასუხო მატჩის მოგება ანგარიშით 2:0 სპარტაკელებს შემდგომ ეტაპზე გასვლის შესაძლებლობას უქმნიდა, მაგრამ „სპარტაკმა“ თავის მინდორზეც კი ვერაფერი გააწყო მეტოქესთან. „კიოლნმა“ პროფესიულად მაღალ დონეზე, საიმედოდ ითამაშა და მატჩიც ისე დაამთავრა, რომ არც ერთი ბურთი არ გაუშვია საკუთარ კარში — 0:0.

პირველ ტურში დიდი ანგარიშით განცდილი მარცხის შემდეგ ვილნიუსის „ჟალგირისმა“ შინაც ვერაფერი გააწყო იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდასთან“, წაგო ანგარიშით — 0:1 და გამოეთიშა გათამაშებას.

ყველაფერი ეს დასანანია, მაგრამ, უბრალოდ, გაოცებას იწვევს მოსკოვის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ ყოვლად უსუსური, უნიათო თამაში. ტორპედელებმა ციურიხში წააგეს „გრასჰოპერსთან“ — 0:3, ხოლო ლენინგრადელებმა სტუმრად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შტუტგარტთან“ — 0:5. ამ ტურის შემდეგ საბჭოთა გუნდებმა ევროპის საკლუბო გათამაშებათა კოეფიციენტების ცხრილში ბევრი ვერაფერი შესძინეს ჩვენს საფეხბურთო ფედერაციას.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ესპანეთის საუკეთესო კლუბების მარცხიც: მადრიდის „რეალი“ და „ბარსელონა“ მეორე წრეშივე გამოეთიშნენ გათამაშებას, მაგრამ მათ ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ, შესაბამისად, იტალიის „მილანი“ და ბელგიის „ანდერლეხტი“.

წლეულს გაიმართება უეფა-ს თასის მერვედფინალური შეხვედრები. ისინი დანიშნულია 22 ნოემბრისა და 6 დეკემბრისთვის.

• • •

ფეხბურთში ევროპის საკლუბო გათამაშების მეორე ტურის საპასუხო შეხვედრების ტექნიკური შედეგები:

ჩემპიონთა თასი

მერვედფინალი

„ტიროლი“ (ავსტრია) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი სსრკ) 2:2 (0:2)

„17 ნენტორი“ (ალბანეთი) — „ბაიერნი“ (გფრ) 0:3 (1:3)

„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ჰონვედი“ (უნგრეთი) 7:0 (2:0)

„სრედეცი“ (ბულგარეთი) — „სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია) 3:0 (2:2)

„ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „სტიაუა“ (რუმინეთი) 5:1 (0:1)

„მეჰელენი“ (ბელგია) — „მალმიო“ (შვეიცარია) 4:1 (0:0)

აეკ (საბერძნეთი) — „მარსელი“ (საფრანგეთი) 1:1 (0:2)

„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „მილანი“ (იტალია) 1:0 (0:2)

თასების მფლობელთა თასი

მერვედფინალი

„გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „ტორპედო“ (მოსკოვი, სსრკ) 3:0 (1:1)

„დინამო“ (რუმინეთი) — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) 6:1 (2:0)

„ხამპდორია“ (იტალია) — „ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ) 2:0 (1:1)

„დიორგარდენი“ (შვეცია) — „ვალიადოლიდი“ (ესპანეთი) 2:2 (0:2)

„ფერენცვაროში“ (უნგრეთი) — „ადმირა-ვაკერი“ (ავსტრია) 0:1 (0:1).

„პარტიზანი“ (იუგოსლავია) — „გრონინგენი“ (ჰოლანდია) 3:1 (3:4)

„დინამო“ (ბერლინი, გდრ) — „მონაკო“ (საფრანგეთი) 1:1 (დამ. დროში) (0:0).

„ბარსელონა“ (ესპანეთი)— „ანდერლეხტი“ (ბელგია) 2:1 (დამ. დროში) (0:2)

უეფა-ს თასი

მეთექვსმეტედფინალი

„ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია) — „დინამო“ (კიევი, სსრკ) 1:1 (0:3)

„სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრკ)— „კიოლნი“ (გფრ) 0:0 (1:3)

„ჟალგირისი“ (ვილნიუსი, სსრკ) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) 0:1 (1:4)

„შტუტგარტი“ (გფრ) — „ზენიტი“ (ლენინგრადი, სსრკ) 5:0 (1:0).

„ნაპოლი“ (იტალია) — „ვეტინგენი“ (შვეიცარია) 2:1 (0:0)

„სოშო“ (საფრანგეთი) — „ფიორენტინა“ (იტალია) 1:1 (0:0)

„რაპიდი“ (ავსტრია) — „ბრიუგე“ (ბელგია) 4:3 (2:1)

„ვალენსია“ (ესპანეთი) — „პორტო“ (პორტუგალია) 3:2 (1:3)

„იუვენტუსი“ (იტალია) — „პარი სენ ჟერმენი“ (საფრანგეთი) 2:1 (1:0)

„კარლ-მარქს-შტადტი“ (გდრ) — „სიონი“ (შვეიცარია) 4:1 (1:2)

„ოსერი“ (საფრანგეთი) — „როვანიემი“ (ფინეთი) 3:0 (5:0)

„დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) — „ანტვერპენი“ (ბელგია) 3:2 (0:4)

„ლიეჟი“ (ბელგია) — „ჰიბერნიანი“ (შოტლანდია) 1:0 (0:0)

„ჰამბურგი“ (გფრ) — „სარაგოსა“ (ესპანეთი) 2:0 (დამ. დროში) (0:1)

„აუსტრია“ (ავსტრია) — „ვერდერი“ (გფრ) 2:0 (0:5)

შენიშვნა: ფრჩხილებში ნაჩვენებია პირველი მატჩების შედეგები. შავით გამოყოფილია გუნდები, რომლებიც ითამაშებენ გათამაშების შემდგომ ეტაპზე.

მუშაობენ ბიგლიოთეკა
გურამ!

ჩვენს შორის ალარ არის გურამ ლორთქიფანიძე, მალალი, ათლეტური, ხულ მოლიმარი და ხალისიერ ბათრიანი, უსიტყვო, ამხანაგებისა და ქვეყნის მოყვარული. იგი გარეწრის ხელმა იმსხვერპლა. ხანეკროლოგო მან ჯერ ვერაფერი მოასწრო, ახლახან შესრულდა ცხრამეტი წლისა. ეს ნეკროლოგი კი არა, პროტესტია. გულიდან ამოხეთქილი აუწერელი დარდი. თუკი ასეთი ახალგაზრდა ქუჩაში სრულიად უმიზეზოდ დანის მსხვერპლი შეიძლება გახდეს, ცუდად არის საქმე, უფრო ცუდად, ვიდრე ჩვენ გვგონია.

გურამი ჩვენთვის ხანიმუშო სპორტსმენი იყო, ჩვენი სული და გული. ჩვენ ყველანი მას ქართული ფეხბურთის იმედად ვთვლიდით, აკი ითამაშა კიდეც რამდენიმე მატჩი თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში, თანატოლებში საქართველოს ჩემპიონიც გახდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც იყო, გამარჯვებული დაბრუნდა ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირიდან.

ამასთან იგი წარჩინებული სტუდენტი იყო, ბევრს გვპირდებოდა, და მაშინ, როცა ქვეყნის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო, სიცოცხლე მოუსწრაფეს.

ერის უბედურებაა ასეთი სამაგალითო ახალგაზრდის უდროოდ წასვლა ამ ქვეყნიდან.

მშვიდობით გურამ! შენი ნათელი ხსოვნა მუდამ ჩვენთან იქნება.

თბილისის ოლიმპიური მომზადების ცენტრის ფეხბურთელთა გუნდი.

ტრიბუნალმა დაასახელა ჩემპიონი

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) სააპელაციო ტრიბუნალმა ფრანგი ალენ პროსტი დაამტკიცა საავტომობილო რბოლაში „ფორმულა 1“-ის 1989 წლის მსოფლიო ჩემპიონად. დამტკიცდა აგრეთვე ბრაზილიელი აირტონ სენას დისკვალიფიკაცია, რომელიც მიიღო იაპონიის „გრან პრის“ გათამაშებაზე 22 ოქტომბერს. ბრაზილიელ მრბოლს, გარდა ამისა, დისკვალიფიკაცია მიეცა ექვსი თვით და დაჯარიმდა 100 ათასი დოლარით.

„სუზუკას“ ტრასაზე მომხდარი ინციდენტის შესახებ „ლელოს“ მკითხველები უკვე ინფორმირებული არიან. „მაკლარენის“ ორი მანქანის შეტაკების შემდეგ პროსტმა მიატოვა რბოლა, სენამ კი ისარგებლა ტრასის მორიგეების დახმარებით, აამუშავა ძრავა და პირველმა გადაკვეთა ფინიში. შემდგომ, როდესაც ეს შედეგი გაუქმდა და ფრანგი ალენ პროსტი ჩემპიონად გამოცხადდა, „მაკლარენმა“ გააპროტესტა ეს გადაწყვეტილება.

ფისა-ს პრეზიდენმა ჟან-მარი ბალესტრმა მწვავედ გააკრიტიკა სენას მოქმედება. „კინოკადრებზე ნათლად სჩანს, რომ ასეთი სიჩქარით უაზრობა იყო ვირაჟის შიგა მხრიდან პროსტის გასწრება, — თქვა მან, — გარდა ამისა, მას არ ჰქონდა უფლება ასე მოქცეოდა თანაგუნდელს და ამ ინციდენტით გაეფუჭებინა მშვენიერი სპორტული სანახაობა“.

ბალესტრის განცხადებით, სენასგან მიღებული ჯარიმის ნახევარი გადაიცემა ფრანგი პილოტის ფილიპ სტრაიფის დახმარების ფონდში, რომელიც პარალიზებულია ბრაზილიის ეტაპზე მომხდარი ავარიის შემდეგ.

მზადდება ახალი სკანდალი

მოსფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა სპონტერმა, ოლიმპიადის არაერთგზის ჩემპიონმა კარლ ლიუისმა გადაწყვიტა სასამართლოში უჩივლოს გფრ-ის ყოველკვირეულ „შტერნს“, რომელიც მას ბრალს დებს დოპინგის სისტემატიურ მიღებაში. ლუისის ადვოკატმა ტიმოტი დენსონმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი იცავს თავის ღირსებას და მზადაა ბოლომდე ებრძოლოს ჟურნალს.

„შტერნმა“ ამას წინათ დაბეჭდა 400 მეტრზე რბენაში აშშ-ს ექს-ჩემპიონის დარელ რობინსონის წერილი, რომელშიც ლუისს ბრალდება აკრძალული პრეპარატების სისტემატური გამოყენება. რობინსონმა, რომელიც ტორონტოში ცხოვრობს, ეს განცხადება კანადის ტელევიზიასთან ინტერვიუშიც გაიმეორა. ლუისის ვექილმა წინადადებით მიმართა რობინსონს უარყოს თავისი განცხადება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უჩივლებს მას ონტარიოს პროვინციის უმაღლეს სასამართლოში ცილისწამებისთვის.

რედაქტორის მოადგილე
უ. ბიჭინაძე.

„სპორტპროგნოზი“

ევროპის საფეხბურთო ტურნირების მეორე ტურის განმეორებით მატჩებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები

(1 ნოემბერი)

1—X, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—X, 9—X, 10—2, 11—1, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

„სპორტპროგნოზი“, 46-ე ტირაჟის პროგრამა (11-12 ნოემბერი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)

		პროგნოზი		
1. ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი)	11.XI	40	20	40
2. „ტორპედო“ (გორკი) — „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი)	11.XI	10	10	80
3. ურიცკის სახ. სკ (ყაზანი) — „ტორპედო“ (იაროსლავლი)	11.XI	30	50	20
4. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი)	11.XI	50	40	10
5. „დინამო“ (ხარკოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი)	11.XI	10	20	70
6. „სოკოლი“ (კიევი) — „ავტომობილისტი“ (სვერდლოვსკი)	11.XI	70	20	10
7. „ტორპედო“ (უსტ-კამენოგორსკი) — „დინამო“ (რიგა)	12.XI	30	40	30
სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში (მერვედფინალი)				
8. „როტორი“ (ვოლგოგრადი) — ცსკა	11.XI	30	40	30
9. „დინამო“ (მოსკოვი) — „არარატი“ (ერევანი)	11.XI	60	30	10
10. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი)	12.XI	60	20	20
11. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი)	8.XI	70	20	10
12. „ფახთაკორი“ (ტაშკენტი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი)	12.XI	40	30	30
13. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	12.XI	60	20	20

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მარიკა“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდავს ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარიულის, 22.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 ფე 10 521